

## შპს „ნიუ პორტი“ სკ 400030186

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ნიუ პორტი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის 17 ნოემბერს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 40030186

**ძირითადი საქმიანობა.** შპს „ნიუ პორტი“ -ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონლით საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ძირითადად ახორციელებს იმპორტს.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი გლდანი, გლდანის ხევი, კორპუსი 1 ბინა 44

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან :

**მერაბ ჩარა, 01401129132, 3-1076548-2 /ორმაგი მოქალაქე, ისრაელი/ -50%**

**ნელი სამხარაძე, 01001023454 - 50%**

## 2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის შპს „ნიუ პორტის“ -ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი               | სასარგებლო<br>მომსახურების ვადა |
|---------------------|---------------------------------|
| ტრანსპორტი          | 3-10                            |
| მანქანა-დანადგარები | 5-10                            |
| ოფისის აღჭურვილობა  | 2-10                            |

#### არამატერიალური აქტივები. მარაგები

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს.
- **მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით.

**გადასახადები.** 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც

უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

**შემოსავლების აღიარება.** შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                           | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|----------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                  | 892734            | 333963            | 800292            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                             | 878101            | 1036812           | 678463            |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                            | 0                 | 64574             | 202034            |
| მარაგები                                                                               | 2091807           | 2251356           | 1348547           |
| მზა პროდუქცია                                                                          | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა                                                                                   | 2091807           | 2251356           | 1348547           |
| საინვესტიციო ქონება                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                                                                | 0                 | 0                 | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| გუდვილი                                                                                | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                           | 1297              | 1297              | 1297              |
| ძირითადი საშუალებები                                                                   | 62094             | 61585             | 53609             |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                      | 0                 | 0                 | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ აქტივები                                                                           | 3926033           | 3749587           | 3084242           |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                   |                   |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                  | 772869            | 202442            | 0                 |
| ანარიცხები                                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                        | 0                 | 0                 | 0                 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                        | 0                 | 0                 | 0                 |
| მიღებული გრანტები                                                                      | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ ვალდებულებები                                                                      | 772869            | 202442            | 0                 |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                               |                   |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი') | 0                 | 0                 | 0                 |
| საემისიო შემოსავალი                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                              | 3153164           | 3547145           | 3084242           |
| გადაფასების რეზერვი                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                   | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                  | 3153164           | 3547145           | 3084242           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                 | 3926033           | 3749587           | 3084242           |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                              | 523               | 523               | 523               |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                              | 0                 | 0                 | 0                 |

**საქმიანობის შედეგები**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>                                               | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> |
|---------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნეტო ამონაგები                                                            | 4482577           | 4586818           |
| საქონლის გაყიდვიდან                                                       | 4482577           | 4586818           |
| მომსახურების გაწევიდან                                                    | 0                 | 0                 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                              | 0                 | 0                 |
| სხვა                                                                      | 0                 | 0                 |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                 | -2010810          | -2096840          |
| საწყისი მარაგები                                                          | 0                 | 0                 |
| მარაგების შესყიდვა                                                        | 0                 | 0                 |
| გადამუშავების დანახარჯები                                                 | 0                 | 0                 |
| საბოლოო მარაგები                                                          | 0                 | 0                 |
| საერთო მოგება                                                             | 2471767           | 2489978           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                                | 0                 | 0                 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                  | -1166811          | -882095           |
| ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი                                                 | -9842             | -9242             |
| საპროცენტო შემოსავალი                                                     | 0                 | 0                 |
| საპროცენტო ხარჯი                                                          | 0                 | 0                 |
| იჯარის ხარჯი                                                              | 0                 | 0                 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                  | -221194           | -170243           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                    | -1397847          | -1061580          |
| საოპერაციო მოგება                                                         | 1073920           | 1428398           |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                    |                   |                   |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                        | 0                 | 0                 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                  | 0                 | 0                 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                | 0                 | 0                 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან                | 0                 | 0                 |
| მიღებული დივიდენდები                                                      | 0                 | 0                 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                   | 0                 | 0                 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობილი                | 1073920           | 1428398           |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                 | -213223           | -140294           |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                    | 860697            | 1288104           |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                  |                   |                   |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) განხილვის შედეგად | 0                 | 0                 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების მიერ)             | 0                 | 0                 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                    | 0                 | 0                 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                       | 860697            | 1288104           |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                       | 3547145           | 3084242           |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა')           | 0                 | 0                 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                            | -1254678          | -825201           |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                     | 0                 | 0                 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                 | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                            | 3153164           | 3547145           |
| კვლევისა და განვითარების ხარჯები                                          | 0                 | 0                 |

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                                       | <b>31/12/2024</b> | <b>31/12/2023</b> |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 558771            | -466329           |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0                 | 0                 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0                 | 0                 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 558771            | -466329           |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0                 | 0                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 333963            | 800292            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 892734            | 333963            |

# შ.პ.ს „ნიუ პორტი“ LTD “NEW PORT”

## 400030186

საქართველო, თბილისი, ავლაძის 7ა ბაღ.: 599 53 23 23

### საზოგადოების შესახებ:

შპს "ნიუ პორტი" სკ 400030186 რეგისტრირებულია საქართველოში 17/11/2011 წ. იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რნი, გლდანის ხევი, კ-1, ბ-44

### საზოგადოების დამფუძნებლები:

მესაკუთრე წილი 50%: ნელი სამხარაძე პნ 01001023454 (საქართველოს მოქალაქე)

მესაკუთრე წილი 50%: მერაბ ჩარა პნ 01401129132;3-1076548-2 (ორმაგი მოქალაქე: საქართველო, ისრაელი)

### ძირითდი საქმიანობა:

შპს "ნიუ პორტის" სკ 400030186 ძირითდ საქმიანობას წამოდგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ელექტრო საყოფაცხოვრებო საქონლით (იმპორტი და ადგილობრივი ბაზარი)

### მომზადების საფუძველი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის - მიხედვით, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებლო წლისათვის.

ფინანსური ანგარიშგება წამოდგენილია ლარში

დირექტორი: მერაბ ჩარა

